საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1816
17/03/2023

1816-21-2-202303170918

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“

აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენს 2023 წლის 7 მარტის 23/02-385 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით (სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის N1871; 07.03.2023) გაცნობებთ/განგიმარტავთ შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ პუნქტით, ადმინისტრაციული საჩივარი განმარტებულია, როგორც დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ხოლო, ამავე კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისათვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა“.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის პირველი თებერვლის ელექტრონულად გამოგზავნილი N23/02-382 განცხადებით მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია/დოკუმენტაცია: 1) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან (ინფორმაციის გადმოცემის მომენტამდე) მომზადებული გარემოს დაბინძურების შესახებ წელიწდეულების, ბიულეტენების, მიმოხილვებისა და ცნობების ასლები; 2) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის ანგარიში; 3) GCF-ის პროექტის ფარგლებში მომზადებული მდინარეების სუფსა, ნატანები და კინტრიშის აუზების საფრთხის რუკა, მონაცემთა ბაზა, კატალოგი/კადასტრი, შესაბამისი მეთოდოლოგიის თანხლებით; 4) საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი - საქართველოში 2020 წელი სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2021 წლისთვის; 5) საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი - საქართველოში 2021 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2022 წლისთვის; 6) კახეთის (ახმეტა, ყვარელი) და მცხეთა-მთიანეთის (დუშეთი) მხარეების გეოლოგიური რუკების კომპლექტი შესაბამისი ანგარიშით (ფურცლები: ახმეტა K-38-XVI: ყვარელი K-38-XVII და მახისმაღალი K-38-X); 7) საინფორმაციო ჰიდროლოგიური ანგარიში - „საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასება (არსებული მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზი და რეკომენდაციები)“.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 20 თებერვლის N21/1088 წერილით სრულად გამოგეგზავნათ შემდეგი ინფორმაცია: 1) საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი - საქართველოში 2020 წელი სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2021 წლისთვის; 2) საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი - საქართველოში 2021 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2022 წლისთვის; 3) კახეთის (ახმეტა, ყვარელი) და მცხეთა-მთიანეთის (დუშეთი) მხარეების გეოლოგიური რუკების კომპლექტი შესაბამისი ანგარიშით (ფურცლები: ახმეტა K-38-XVI: ყვარელი K-38-XVII და მახისმაღალი K-38-X); 4) საინფორმაციო ჰიდროლოგიური ანგარიში -„საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასება (არსებული მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზი და რეკომენდაციები) და ასევე განგემარტათ, რომ სააგენტოს ვებ-გვერდსა და ჰაერის პორტალზე (www.nea.gov.ge) (www.air.gov.ge) ხელმისაწვდომია და ეტაპობრივად ქვეყნდება გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშები. რაც შეეხება, 2022 წლის წელიწდეულს, ამჟამად მიმდინარეობს მათი მომზადება, რაც მოითხოვს გარკვეულ დროს დიდი მოცულობის წლიური მონაცემების დამუშავების გამო, რა დროსაც წელიწდეულის შედგენა წარმოებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე. ამასთან, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს შესაბამისი ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ასახვა, ხოლო საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ ხდება არსებული შედეგების დამუშავება წლიურ ჭრილში და შეფასება.

აქვე, კიდევ ერთხელ გაცნობებთ, რომ საჯარო და ხელმისაწვდომია ინფორმაცია, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოში ინახება, როგორც დამუშავებული, შექმნილი, მიღებული ან გაგზავნილი ინფორმაცია. ხოლო, რაც შეეხება ისეთ ინფორმაციას, რომელიც დამუშავების პროცესშია, დაუსრულებელია და არ არის შექმნილი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, სამართლებრივად მოკლებულია შესაძლებლობას, უზრუნველყოს ასეთი ინფორმაციის გადაცემა ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის. ამასთან, მოუმზადებელი, დაუსრულებელი ინფორმაცია, დამუშავების ეტაპზე ვერც განიხილება, როგორც საჯარო ინფორმაცია. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით სააგენტო ვერ უზრუნველყოფს სსიპ

გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის ანგარიშის, კლიმატის მწვანე ფონდის (Green Climate Fund) და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში მომზადებული რუკების, მონაცემთა ბაზებისა და შესაბამისი მასალების გადმოცემას. დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის ანგარიშში გასათვალისწინებელი ინფორმაციის დამუშავების პროცესი, ხოლო, რაც შეეხება კლიმატის მწვანე ფონდის (Green Climate Fund) და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში მომზადებულ ზემოაღნიშნული ინფორმაციის გადმოცემას, ეს პროექტი მიმდინარეა და პროექტის ფარგლებში არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია პერიოდულად კორექტირდება, იცვლება და ვერ ექნება საბოლოო სახე პროექტის დასრულებამდე.

აქვე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის არ არის ცნობილი და არც შესაბამისი დოკუმენტაცია ყოფილა წარმოდგენილი რომლითაც დადასტურდებოდა ნებისმიერი დაინტერესებული პირის, მათ შორის ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს უფლებისა და სააგენტოს ვებ-გვერდსა და ჰაერის პორტალზე (www.nea.gov.ge) (www.air.gov.ge) წვდომის შეზღუდვა. მიუხედავად აღნიშნულისა, მოთხოვნილ ინფორმაციას - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან (ინფორმაციის გადმოცემის მომენტამდე) მომზადებულ გარემოს დაბინძურების შესახებ წელიწდეულებს, ბიულეტენებს, მიმოხილვებსა და ცნობებს, მისი მოცულობის გათვალისწინებით გაწვდით სრულად CD დისკის საშუალებით, რაც პერიოდულად ქვეყნდება/გამოქვეყნებულია სააგენტოს ვებ-გვერდსა და ჰაერის პორტალზე.

ამასთან, თუ თვლით, რომ წინამდებარე წერილობითი პასუხი ზიანს აყენებს თქვენს ინტერესებს, უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს საერთო სასამართლოებს. თუმცა, აქვე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის მაქსიმალურად უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ზემოაღნიშნულ ვებ-გვერდებზე.

პატივისცემით,

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო